



ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა
სასწავლო გარემოში

პრეზენტატორი: ნინო მახვილაძე

რა არის ემოციური ინტელექტი?


ემოციური ინტელექტი არის ემოციების აღქმის, გაგების, მართვისა და რეგულირების უნარი. ეს არის საკუთარი ემოციების ამოცნობისა და ანალიზის უნარი, როცა უბრალოდ სახელს კი არქმევ შენს შეგრძნებებს, ემოციებს და გრძნობებს, არამედ შეგიძლია ისინი გამოიკვლიო, გაფილტრო, გაარჩიო და, საბოლოო ჯამში, მართო შენ სასარგებლოდ.

- ▶ ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანების უნარია: სწრაფად ადაპტირდნენ გარემოსთან, მარტივად შეეწყონ სხვებს, იყვნენ ემპათიურები და გამოხატონ მეტი თანაგრძნობა კოლეგების მიმართ, რაც აორმაგებს მათ შანსს გახდნენ უფრო წარმატებულები.
- ▶ ემოციური ინტელექტი გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე, ჩვენს გადაწყვეტილებებსა და ჩვენს მიღწევებზე. მაღალი თანამდებობების პირების 90%-ს მაღალი ემოციური ინტელექტი აქვს რაც იმას ნიშნავს რომ სწორედ EQ განსაზღვრავს ჩვენს კრიტიკულ აზროვნებას და ჩვენს მიერ გამოვლენილ ყველა ქცევას.





რა განსხვავებაა EQ და IQ შორის?

დღეისათვის მხოლოდ ინტელექტი საკმარისი აღარ არის თანამედროვე რთულ და გამოწვევებით სავსე სამყაროში წარმატების მისაღწევად. საჭიროა ისეთი უნარის განვითარება როგორიცაა ემოციური ინტელექტი. თანამედროვე კვლევებით ცნობილია, რომ მაღალი IQ-ს მქონე ადამიანები უფრო ნიჭიერები არიან, თუმცა, წარმატებას ხშირად მათზე დაბალი ინტელექტუალური მაჩვენებლის ადამიანები აღწევენ, რომლებსაც არც დიდი გამოცდილება აქვთ და არც განათლების მაღალი საფეხურებისთვის მიუღწევიათ. მაღალი IQ არის მოცემულობა რომელსაც დაბადებისას ვიღებთ და შეიძლება მცირედით შეიცვალოს, მაშინ როდესაც ემოციური ინტელექტი არის ის რაზეც მუშაობა და განვითარება შეგვიძლია.



დღეისათვის სკოლების სრული ორიენტირება არის მხოლოდ ცოდნის მიღებასა და ინტელექტუალური უნარის განვითარებაზე, სოციალურ-ემოციური სწავლების როლი მიჩქმალული და უგულებელყოფილია. სწორედ ამის გამო მოსწავლეებმა არ იციან როგორ უნდა გაუმკლავდნენ სტრესს, მართონ საკუთარი ემოციები და იყვნენ თანამგრძნობელები. ეს ვითარება მოსწავლეებს უკარგავს მოტივაციას და სწავლის დონე დაბლა იწევს.



ჩიკაგოს საჯარო სკოლების ქეისი



► პრობლემა:

ბულინგის მზარდი ტენდენცია

სკოლის დატოვების მაღალი კოეფიციენტი

დაბალი აკადემიური მოსწრება

მოსწავლე-მასწავლებლის დამაბული ურთიერთობა

► **პრევენცია:** სკოლის კურიკულუმებში მკაფიოდ და ოფიციალურად განისაზღვრა SEL გაკვეთილები და მოსწავლეები ვარჯიშობდნენ თვითშეცნებისა და თვითმართვის უნარების გამომუშავებაში, ეუფლებოდნენ პოზიტიური ურთიერთობების წარმართვასა და კონფლიქტების კონსტრუქციულად მოგვარების სტრატეგიებს.



► **შედეგი:** გაუმჯობესებული აკადემიური ჩართულობა, მოტივაციის მკვეთრი ზრდა, მეგობრული და სასიამოვნო ატმოსფერო. შემცირდა დისციპლინური ინციდენტები, ბულინგისა და დისკრიმინაციის ფაქტები.

ჩემი კვლევა


კვლევის მიზანი-დავამტკიცო, რომ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს უფრო მაღალი შეფასებები აქვთ და მარტივად შეუძლიათ მიღებული ცოდნის გაანალიზება.

საკვლევი ობიექტი-ქ. ტყიბულის N6 საჯარო სკოლის 7-12 კლასის მოსწავლეები

სკოლაში სწავლის დონე



- მაღიან კარგი ემოციური ინტელექტი
- კარგი ემოციური ინტელექტი
- საშუალო ემოციური ინტელექტი
- დაბალი ემოციური ინტელექტი



რეკომენდაციები :

- ▶ სასწავლო პროგრამებში შეიტანონ ემოციური ინტელექტის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები და ტრენინგები.
- ▶ მასწავლებლებმა უნდა ისწავლონ ემოციური ინტელექტის მნიშვნელობის შესახებ და დასახონ მისი განვითარების გზები.
- ▶ სკოლებმა უნდა შექმნან მხარდაჭერი და უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ემოციებს.
- ▶ უნდა ჩატარდეს სემინარები და სამუშაო სესიები მშობლებისათვის, რათა მათაც გაიგონ ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა , ასევე ისწავლონ შესაბამისი უნარების განვითარება და ემოციების ეფექტური მართვა.
- ▶ რეგულარულად უნდა შეფასდეს მოსწავლეების ემოციური ინტელექტის დონე და საჭიროების მიხედვით განისაზღვროს დამატებითი პროგრამები.

დასკვნა

ემოციური ინტელექტი სასწავლო გარემოში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეების პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის. მისი განვითარება ხელს უწყობს ემოციების მართვას, სტრესის შემცირებას, უკეთეს ურთიერთობებსა და სწავლაში წარმატებებს. მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე მოსწავლეები აჩვენებენ უკეთეს აკადემიურ შედეგებს და სოციალური ურთიერთობების განვითარებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს წარმატებით გაიარონ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი. ასეთი უნარები ეხმარებათ მათ ემოციების მართვაში, სტრესის დაძლევაში, გუნდურ მუშაობასა და კონფლიქტების მოგვარებაში, რაც აუცილებელია თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად და მომავლის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ▶ ემოციური ინტელექტისა და სოციალური სწავლების მნიშვნელობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
- ▶ მაია ბრეგაძის საკომფერენციო ნაშრომი
- ▶ ცირა ბარბაქაძის ნაშრომი „ემოციური ინტელექტი განათლებაში“
- ▶ STEP „რა არის ემოციური ინტელექტი?“

გმადლობთ ყურადღებისათვის !